

- ღღეს ნომერშია**
- ლეკნელები ალგილობრივი ხელისუფლებასთან კომუნიკაციის გააქტიურებას ითხოვენ** (2 გვ.)
- გაბრძელება თუ არა ნარჩენების მართვის პროექტი** (3 გვ.)
- ბორის სკოლა კონკურსში ბაიმარჯვა** (3 გვ.)
- განსხვავებები** (4 გვ.)
- ამინდი** (4 გვ.)

## ბრალდებულის სახლი გადაწვეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 20 წლის რეზო ლ-ს ოჯახის საცხოვრებელი სახლი გადაწვეს. რეზო ლ-ს დაკავებული 14 წელს მიუღწეველი პირის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გავრცელებული ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა არასრულწლოვანი თანასოფელი ბიჭი გააუპატიურა. მომხდარი ფაქტის შემდეგ, არასრულწლოვანმა თავისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე თვითმკვლელობა სცადა. უგონო მდგომარეობაში მყოფი მოზარდი ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იგი მეორე დღეს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ამ სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის ინფორმაციით, გარდაცვლილი ბავშვის ოჯახის წევრები და თანასოფელები ბრალდებულის ოჯახის სოფლიდან გასახლებას მოითხოვენ.



დენი. დეპუტატის თქმით, მისი რჩევა, რომ დალოდებოდნენ ექსპერტიზის საბოლოო პასუხსა და გამოძიების შედეგებს, შეკრებილმა მოსახლეობამ არ გაითვალისწინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გავრცელებული ინფორმაციით, გამოძიება 14 წელს მიუღწეველი პირის მიმართ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების და თვითმკვლელობამდე

მიყვანის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 115-ე და 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, მიმდინარეობს, რაც 15-დან 20 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის თვითმმართველობის განყოფილებაში, მესამე, ძველი სტატუსი მიენიჭოს. ამ მიზნით ხარაგაულში კულტურული მემკვიდრეობის დაც-

ვება, მაგრამ ვისაუბრეთ, ვიფიქრეთ და შეიძლება ძველი სტატუსი მიენიჭოს ასევე ხის საცხოვრებელ სახლებს, რადგან მივინწყებას ეძლევა ხის სახლების მშენებლობის

## ძველის სტატუსი - დამცავი მექანიზმი

ვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა რამდენიმე სოფელში ეკლესიები და სხვა არქიტექტურული ნაგებობები მოინახულეს. მათი ვიზიტი ხარაგაულის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე ნიკო დევანოსის წერილობითი მიმართვის შედეგად შედგა.

ძველთა აღნუსხვა-დოკუმენტაციის სამსახურის უფროსი **გიორგი ბაგრატიანი** თქმით, დაათვალიერეს რამდენიმე ეკლესია ამაჟვერეთში, ფარცხნალოში, ახალსოფელში, ჩხერში, ბაზალეთში, სარგვეშა და ღორეშაში. „ძველის სტატუსის მინიჭების ნუსხაში, ძირითადად ეკლესი-

კულტურა. ძველი ხის სახლები არის ძალიან მნიშვნელოვანი ქართული კულტურისთვის. შეიძლება ძველის სტატუსი მიენიჭოს საწინააღმდეგო, - ამბობს გიორგი ბაგრატიანი.

მისივე განმარტებით, ძველის სტატუსის მინიჭების პროცედურა ასეთია - კონკრეტულ ნაგებობაზე კეთდება სააღმოსაზრებო ბარათი, რომელსაც განიხილავს ხელისუფლებათმცოდნეობა და არქიტექტორებით დაკომპლექტებული სპეციალური კომისია. მსჯელობის შედეგად თუ გამოიკვეთა, რომ ის აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, მინიჭება ძველის სტატუსი.

„სტატუსის მინიჭების მნიშვნელობა ისაა, რომ სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას მათ მოვლა-პატრონობაზე. ამის შემდეგ თვითნებური ჩარევა ძველის იერ-სახეში შეუძლებელია და დანაშაულია.“ - ამბობს გიორგი ბაგრატიანი.

მისივე თქმით, სიძველეების თვითნებურად აღდგენისას იკარგება მათი ისტორია. „ვიღაცას გულწრფელად უნდა ეკლესიის აღდგენა, მაგრამ მან რომ იცოდეს, რამდენი რამ იკარგება არაპროფესიონალური ჩარევით, ამას აღარ გააკეთებდა. ამდენად, ძველის სტატუსი დამცავი მექანიზმი, - ამბობს გიორგი ბაგრატიანი, - სახელმწიფო ვალდებულია ძველის აღდგენისთვის მოიძიოს თანხები ან თავად გამოიყოს. საქართველოში რვა ათასამდე ძველია, ამით ვართ მდიდრები და ერთი ამდენი

## ამბების აკილო

**ორშაბათს საპროპულ მორიბ საბინაშპო ცვლილებას განიხილავს**

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 2 545 191 ლარი შემცირდა 232 185 ლარით. ეს თანხა, - მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შედეგად ტენდერებით განყული ეკონომია, - ფონდს დარჩა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში 232 185 ლარით შემცირდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა პროექტების მიხედვით შემდეგნაირადაა განსაზღვრული: კიციხი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია - 38 791 ლარი; ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის შენობის რეაბილიტაცია - 104 950 ლარი; ხარაგაულში ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია - 489 923 ლარი; ბორითი-მარიამწყარო-ლორესის გზის რეაბილიტაცია - 120 000 ლარი; საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის - 33 340 ლარი.

ამ თანხების გამოყოფასთან დაკავშირებულ მორიგ საბიუჯეტო ცვლილებ-

ბას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო 6 ივლისის მორიგ სხდომაზე განიხილავს დასამტკიცებლად.

**მარაგისის გზის მონაწილეობისათვის**

სადგურ მარაგისიდან სოფელ მარაგისის ცენტრამდე 4 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციის პროექტი იწყება. საპროექტო-საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ტენდერში გამარჯვებულ შპს „გზამკვეთი 2001“ (დირექტორი ნიკოლოზ ყიფიანი) წარმომადგენელს შორის ხელშეკრულება 2 399 ლარზე გაფორმდა.

ხელშეკრულების თანახმად, საპროექტო დოკუმენტაცია 24 ივლისის ჩათვლით უნდა მომზადდეს.

ტენდერში ექვსი ორგანიზაცია მონაწილეობდა და 5 080 ლარზე იყო გამოცხადებული.

სოფელ მარაგისის ცენტრალური საავტომობილო გზის მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 1 200 000 ლარითაა განსაზღვრული.

**ნაღაპურში, გაბიონების მოსაწყობად**

ხევი-ნაღაპურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისათვის (გაბიონების მოწყობა) საპროექტო-საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ტენდერში გამარჯვებულმა შპს-მ „პროექტმენი +“ 2 999 ლარად 20 ივლისამდე უნდა შეადგინოს. ამის თაობაზე ხელშეკრულება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელ კობა ლურსმანაშვილსა და შპს „პროექტმენი +“-ის დირექტორ ვახტანგ თხელიძეს შორის 29 ივნისს გაფორმდა. ტენდერი 3 390 ლარზე იყო გამოცხადებული და მასში სამი ორგანიზაცია მონაწილეობდა. თავად პროექტის სავარაუდო ღირებულება 120 ათასი ლარია.

# ლეღვნილები ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის გაძლიერებას ითხოვენ

უგზობა, უმუშევრობა, უწყლობა, უსამართლობის განცდა, - ეს იმ პრობლემების ჩამონათვალია, ლეღვნის მოსახლეობას რომ აწუხებს.

„ზოგი მათგანის მოგვარება ფულად დანახარჯებს არ მოითხოვს, - ამბობს ლეღვანში მცხოვრები **ჯემსი ვიჟინაძე**, - წერილი გავუგზავნე პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს სოფლის საჭიროებებზე საკითხებთან დაკავშირებით. ჯერ პასუხი არ მიმიღია. წერილში ვითხოვ, რომ გამოგზავნონ სპეციალისტები და მოუსმინონ სოფლის მოსახლეობას.“

ჯემსი ვიჟინაძე მიიჩნევს, რომ ზოგადად, სოფელი უპატრონოა და დარჩენილი და ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლისგან დანიშნული წარმომადგენელი

გვპირდებოდნენ მცირე სანარმო გახსნას, რაც არ შესრულდა. იქნებ მოხერხდეს და ლეღვანს მაღალმთიანის სტატუსი მიენიჭოს, რომ გარკვეული შეღავათები დაგვიწესდეს. სოფელი 550 მეტრზეა ზღვის დონიდან. ამაში თუ მოგვემარება ჩვენი მთავრობა, იქნებ სტატუსის გამო დაკავდეს ხალხი სოფელში, - ამბობს ლეღვა თაბუკაშვილი და ცენტრალურ გზაზე გარე განათების აუცილებლობაზე საუბრობს. მისივე თქმით, პოპულარიზაცია სჭირდება მათ სოფლებში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას - ყველსა და ხორცს.

„ძალიან დაიგვიანა ლეღვანში გამრიცხველიანება. დიდგაკე რომ გაამრიცხველიანებს, ლეღვანი და მარელისიც მაშინ უნდა გამრიცხველიანებულიყო. გზას კი ნახავდით, რაც არის. უგზობის

საუბრობს. მისი ინფორმაციით, მარელისში ბალის ასაკის ოცამდე ბავშვია. „საბავშვო ბაღი ხელს შეუწყობს სოფლის შენარჩუნებას. არაჩვეულებრივი ახალგაზრდები მარელისში დაუსაქმებელი არიან.“

**ნათია ხიჯაბაძე** ამბობს, რომ კარგი იქნება დიდგაკედან ხარაგაულში თუ მაინც ივლის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტი. ხარაგაულში საბავშვო ბაღებში დიდგაკედან, სადანილიდან და ზარნიდან ოცდაათამდე ბავშვი დადის. მშობლებისთვის მათი ტრანსპორტირება რთული და არც მთლად უსაფრთხოა.

ლეღვნის სკოლის მასწავლებელ **ირინე შარიაძესთან** ხალხური შემოქმედების წრეზე 30 მოსწავლე დადის. ეს წრე მოსწავლეთა სახლთან არსებობს. ირინე შარიაძის თქმით, მოსწავლეთა



**პაატა ბურჯანაძე** - ლეღვნილების ყველაზე დიდი პრობლემა უგზობაა.

თამაზ მალრადე სამასალე ხეტყის მოპოვებაზე ამბობს, რომ გლეხს ბოსტნის შემოსაღობი მასალის მოპოვების უფლება უნდა ჰქონდეს.

„კრიმინალი და კორუფცია დაამარცხა და ეს მომწონს წინა ხელისუფლების. გვანუხებს სოფელში სხვისი წვრილფეხი. თუ რამე პრობლემა წამოიწი, - გეტყვიან, არ გვეხება ეს საქმე. თუ კრიტიკა არ მოვისმინეთ და ნახევარი ნაბიჯით მაინც წინ არ წავინიეთ, არაფერი გამოვა. სიხლის მოთხოვნა უნდა ჰქონდეს ადამიანს. ნისქვილები ნაილო წყალმა და პარალიზებულია სოფელი. არავინ დაინტერესებულა ამ საკითხით. გამოიარა ჩვენი სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ინგა მალრადე და მეტი არაფერი. ჩვენ გვიწავდა შედეგი.“



გამგებლის წარმომადგენელია და არა სოფლის ხელმძღვანელი. ბატონი ჯემსის თქმით, პრობლემაა, რომ სოფელში მოსახლეს პირუტყვის დაკვლის უფლება არ აქვს; წყალდიდობისგან სოფელში აბსოლუტურად ყველა წისქვილი დაზიანებულია და სიმინდის დაფქვა შეუძლებელია; ტრანსპორტის სიკვრივის გამო მოსახლეობა დიდგაკედან მატარებლით მგზავრობას არჩევს, დიდგაკედან ლეღვანამდე კი - ფეხით სიარულს.

„ლეღვანში არის დიდი რაოდენობით ხილი და კენკროვანი. რამდენჯერმე მოვიტოვეთ, რომ ჩაიბარონ ტყეშალი მაინც, რომ მოსახლეობას შემოსავალი გაუჩნდეს, მაგრამ არ დაადგა საშველი,“ - ნუხს ჯემსი ვიჟინაძე.

მისი სურვილია, რომ შეთანხმებითა და მოლაპარაკებით გადაწყდეს სოფლის პრობლემები. ამისთვის კი უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭო. „ბჭობა ძალიან მნიშვნელოვანია. საბჭო უნდა დაკომპლექტდეს გამოჩენილი ადამიანებით და მათ გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს სარეკომენდაციო ხასიათი,“ - ამბობს ბატონი ჯემსი.

**ლელა თაბუკაშვილი** მიიჩნევს, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი ლეღვანს აუცილებლად სჭირდება. მისი თქმით, სოფელში მრავალშვილიანი ოჯახები აღარ არიან, ახალგაზრდები ქალაქში ეძებენ სარჩოს და იცლებს სოფელი.

„სოფლის შენარჩუნებისთვის ცხოვრების სათანადო პირობებია საჭირო. სოფელში მხოლოდ სკოლა და საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, მაგრამ ეს არასაკმარისია. საშუალო ადგილები უნდა შეიქმნას.

გამო ყანებამდე მისვლა გეჭირს,“ - ამბობს **ნელი ვიჟინაძე**.

ლეღვნის საჯარო სკოლის დირექტორის, **მანანა კიპიანი** თქმით, უმძიმეს მდგომარეობაშია სკოლამდე მისასვლელი გზა. სკოლას ტრანსპორტი ემსახურება. „ყოველდღე მოსწავლეების მოსვლა-წასვლაზე რამდენჯერ უნდა მოვკვდე და გავცოცხლდე, არ ვიცი. ეს გზა არის ძალიან სახიფათო. წერილობით მივმართე გამგებებსა და საკრებულოს. ჩემი ყველაზე დიდი გულისტკივილი და სათხოვარი ხელისუფლებისადმი სკოლამდე მისასვლელი გზის მოწესრიგებაა,“ - ამბობს მანანა კიპიანი და მუნიციპალური ტრანსპორტის აუცილებლობაზე საუბრობს. მისივე თქმით, ლეღვნის საჯარო სკოლის მოსწავლეები დიდი წვლებით დადიან ხარაგაულში სხვადასხვა წრეებზე სამეცადინოდ. მასწავლებლებმა კი უტრანსპორტობის გამო ვერ შეძლეს ხარაგაულში ტრენინგებზე დასწრება. ქალბატონი მანანა ამბობს, რომ კოდაბოლოში რამდენიმე მოსახლეს წყალი არ მიეწოდება.

**მანა ტაბაძის** სურვილია, რომ სოფლებში ნაგავსაყრელების პრობლემა მოგვარდეს და მოსახლეობა წარჩენეს სტიქიურად არ ყრიდეს. მისი თქმით, ლეღვნის ცენტრში განთავსებული ნარჩენების შემკრები კონტეინერი არასაკმარისია. „სოფლის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გულისხმიერები არიან და ყველაფერს აკეთებენ, რაც მათ შესაძლებლობებშია,“ - ამბობს მანა ტაბაძე.

**ირინე შარიაძე** მარელისში საბავშვო ბაღის აუცილებლობაზე

სახლს მოსწავლეებისთვის ინსტრუმენტების შექმნის საშუალება არ აქვს. „ყველა მშობელს არ აქვს საშუალება, რომ ხარაგაულში სხვადასხვა წრეებზე ატარონ შვილები. ჩვენი სკოლის მოსწავლეები დაინტერესებული არიან მუსიკით, მხატვრული კითხვით, ცეკვით, ხატვით. მეტი ყურადღება ხარაგაულში მცხოვრებ ბავშვებზე. ჩვენი მოსწავლეები არაფრით ჩამოუვარდებიან თავიანთ ხარაგაულელ თანატოლებს. ხელფასს ხომ იღებენ ხარაგაულის კულტურის დაწესებულებებში. აქ ადგილებზე უნდა ამოვიდნენ სპეციალისტები და ამეყვანონ მოსწავლეები,“ - ამბობს ირინე შარიაძე.

ავღანეთში სამხედრო ვალდებულება მოხდილი **მეჩქვლე მალრადე** ნუხს, რომ მისი სტატუსის მქონე ვეტერანების მიმართ უყურადღებობაა. ის მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულია. წინა ხელისუფლების დროს მოეხსნა ვეტერანობის პენსია და 22 ლარიანი დახმარება დაუტოვეს.

**თამარ ტაბაძე** საუბრობს გზის პრობლემებზე საუბრობს და იმედგაცრუებულია, რომ ეს პრობლემა ვერ გვარდება. „ტანში მზარავს, როცა ვიცი, რომ ჩემი შვილი მიკროავტობუსით მიდის სკოლაში. მირჩენია ფეხით იაროს, ვიდრე ტრანსპორტით. აუცილებელია გზა ხარისხიანად გაკეთდეს,“ - ამბობს თამარ მალრადე და გვიამბობს ლეღვანში მცხოვრები მარტოხელა გულო მალრადის შესახებ, რომელსაც დენის პრობლემა, წლებია, ვერ მოუგვარეს. გამრიცხველიანებამდე არ იქნება საშველი, - პასუხობენ.

წყალმომარაგების პრობლემა აქვს კანტორის უბანში მცხოვრებ **კლარა ხარატიშვილს**. ივლისიდან ოქტომბრამდე მას წყალი აღარ მიეწოდება, რადგან საბავშვო ბაღი და სარიტუალო სახლი მისი წყლით სარგებლობს. ქალბატონი კლარა ითხოვს, წყალი ისე გაკეთდეს, რომ არავინ დაზარალდეს.

სოციალურად არასამართლიან გარემოზე ამბობს **ყურადღებას ცილა მალრადე** და რამდენიმე ოჯახის ისტორიას გვიამბობს: გვი ვეფხვადეს ფეხი მოკვეთეს. პარკინსონია დაავადება აქვს მის ცოლს. სოციალური დახმარება არ დაეწინააღმდეგა.

პირველი ჯგუფის ინვალიდია ლამარა მალრადე - თვალთ ვერ ხედავს და ვერ მიაღწია იმას, რომ დაეწინააღმდეგა სოციალური დახმარება. ყოველ გასაჩივრებაზე ქულები იმატებს. ოჯახში ყველა უმუშევარია და ამ ქალბატონის პენსიით ირჩენენ თავს;

ელგუჯა შარიაძე აპარატზე შეერთებული. მისმა შვილმაც ოპერაცია გაიკეთა. სახლში ჰყავთ ორი მცირეწლოვანი ბავშვი. არ აქვთ შემოსავალი და რატომ ამოვარდნენ სოციალური დახმარების მიძღვრება ბაზიდან, გაურკვეველია.

ცილა მალრადე ამბობს, რომ ლეღვნის მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია სარიტუალო დარბაზის მოწყობით. მისივე თქმით, სასწრაფო და პრიორიტეტულია, დარბაზში მოეწყოს კანალიზაციის სისტემა და სამზარეულო.

**დინა მალრადე** სახლში შეგულდული შესაძლებლობის მქონე შვილი ჰყავს. უფროსი ვაჟები თურქეთში დადიან საშუალოდ. ამის გამო თებერვალში სოციალური დახმარება მოუხსნეს და უთხრეს, სამი წლის მანძილზე დახმარებას ვერ მიიღებთ. დინა მალრადის დიდი სურვილია, რომ ხარაგაულში შშმ პირებისთვის დღის ცენტრი გაიხსნას.

სოფელში სტადიონის არქონასა და კანტორის უბანში უწყლობაზე საუბრობს **თამაზ მალრადე**. მისი თქმით, იქ, სადაც ახლა საბავშვო ბაღია, ფურნე ჰქონდა. სურდა, სოფლისთვის ეჩუქებინა ის ადგილი და სოფლის მხარდაჭერით გამოყოფილი თანხით სტადიონი და სკვერი მოწყობო. მისი თქმით, ხალხმა ეს წინადადება არ მიიღო. თამაზ მალრადის ინფორმაციით, კანტორის უბანში შარშან განსახორციელებელი წყალმომარაგების მოწესრიგების პროექტი, რომელზეც ათი ათასი ლარი დაიხარჯა, წელსაც დაუმთავრებელია.

ლეღვნილების პრობლემებს კარგად იცნობს მათივე თანასოფელი გამგებლის წარმომადგენელი ლეღვნის ადმინისტრაციულ ერთეულში **პაატა ბურჯანაძე**. ის წელს დაინიშნა ამ თანამდებობაზე.

პაატა ბურჯანაძის ინფორმაციით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გრძელდება ლეღვანში სარიტუალო სახლის მოწყობა. განსაზღვრულია სველი ნერტილების, სამზარეულოსა და საწყობი ოთახის მოწესრიგება. ამისთვის 7 ათასი ლარია გათვალისწინებული. ამავე პროგრამით კეთილმოეწყობა საბავშვო ბაღის ეზო, რისთვისაც 4 ათასი ლარია განსაზღვრული. კოდაბოლოს ორ უბანში უნდა დამონტაჟდეს ორი ცალი რვატონიანი ავტო.

**პაატა ბურჯანაძე** - ლეღვნილების ყველაზე დიდი პრობლემა უგზობაა. წელს გრეიდერი გავატარეთ ცენტრალურ გზაზე. სკოლამდე მისასვლელი გზა ისევ ცუდ მდგომარეობაშია. იქ ერთი სახიფათო ადგილი იყო და ის მოსახლეობის დახმარებით გავამართეთ. ამ გზის შეკეთებას სერიოზული თანხა სჭირდება.

შიდა საუბრო გზებია მოსახლესთვის. მარელისსა და ლეღვანში არის თითო-თითო უბანი, სადაც მიუვალა გზა. მეპირი თანხმობა გვაქვს გამგებნიდან, რომ გამოვიყვანოთ თანხები. უმუშევრობა საყოველთაო პრობლემაა. გამრიცხველიანება გვიგვიანდება. პატარა სახლარს დენი საერთოდ არ მიეწოდება. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით იქ უნდა ვაკეთებულყო კანალიზაციის სისტემა. მოსახლეობასთან შეთანხმებით პატარა სახლარისთვის გამოყოფილი 4 ათასი ლარი მარელისის სადგურის კორპუსის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯება.

დახვნის ბარათებით ლეღვნის ადმინისტრაციულ ერთეულში ოცამდე მოსახლემ ისარგებლა - რელიეფი არ გვიწყობს ხელს და პატარა ფართის ნაკვეთებია. დანარჩენი მიწები ცოცხალი ძალით და ხელის ტრაქტორებით დამუშავდა.

სოციალური დახმარების დაწინაურების კუთხით უკმაყოფილებაა მოსახლეობაში. ყველაზე დიდი და გლობალური პრობლემა ისაა, რომ იცლება სოფელი. სამასალე ხეტყეს ვეღარ მოიპოვებს გლეხი და მიდის სოფლიდან. ლეღვანსა და მარელისში დაახლოებით ათ-ათ ოჯახს ჰქონდა სახენხი.

# ბორის სკოლამ კონკურსში გაიმარჯვა



ბორის საჯარო სკოლა ჩაერთო სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ მცირე გრანტების კონკურსში პროექტით: „სასკოლო ბიბლიოთეკისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვა.“ პროექტმა, რომლის ხელმძღვა-

ნელია სამოქალაქო განათლების პედაგოგი მაია ბარბაქაძე, გაიმარჯვა და დაფინანსდა. 27 ივნისს ბორის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკამ გამარჯვებული პროექტის ფარგლებში მიიღო 450 აშშ დოლარი ღირებულების - ფოტოპარტი DPC-Nikon

S 3600, სახლის კინოთეატრი და საპროექციო ეკრანი.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობდნენ იმერეთის რეგიონის სხვადასხვა სკოლები, გამარჯვება კი მხოლოდ ორმა სკოლამ, მათ ბორის, - ბორის საჯარო სკოლამ, - მიიპოვა. წარმატებული პროექტის ავტორი მაია ბარბაქაძე მიიხსენებს, რომ მცირე გრანტების გაცემა მოსწავლეების შემოქმედებითი ინიციატივების განსახორციელებლად ხელს შეუწყობს მათ ჩართვას ადგილობრივი თემის პრობლემების გადაჭრასა და სამოქალაქო ინიციატივებში, რაც მოსწავლეების მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას ამაღლებს.

აღნიშნულ პროექტს, სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ ახორციელებს ორგანიზაცია PH International მხარდაჭერით, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)

დაფინანსებით. პროგრამის პარტნიორია ქუთაისის განათლებისა და დასაქმების ცენტრი.

# გაბრძელებდა თუ არა ნარჩენების მართვის პროექტი

ხარაგაულში ერთ წელზე მეტია, ხორციელდება პროექტი - „პოლიეთილენი, დიოქსინი ფურანების წარმოშობის წყარო და მასთან ბრძოლა საზოგადოების მხარდაჭერით“. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“. პროექტის კოორდინატორმა ხათუნა მანჯავიძემ ხარაგაულის ადგილობრივ ხელისუფლებას წერილობით მიმართა ამ პროექტის გაგრძელებისათვის თხოვნით. ამ საკითხზე ხარაგაულის საკრებულოს ბიუროს წევრებმა პირველ ივლისს იმსჯელეს.

პროექტის კოორდინატორმა ხათუნა მანჯავიძემ დეპუტატებს განუმარტა, თუ რა სირთულეებია პროექტის გასაგრძელებლად. „საჭიროა წელიწადში 5 000 ლარი, რათა „ხარაგაულდასუფთავებას“ ავეწამოთ უროთ სანავის ხარკი და სოფლებიდან გამოვიტანოთ კონტეინერებში შეგროვილი პოლიეთილენის ბოთლები შემდგომში დაპრესვისა და რეალიზაციისათვის.“ ამბობს პროექტის კოორდინატორი.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“

დირექტორმა თამარ ფურცელაძემ ამბობს, რომ მისი სამსახური მზადაა გააგრძელოს თანამშრომლობა ამ პროექტის ფარგლებში ა/ო „ქალები ქვეყნის მომავლისათვის.“ საჭიროა მხოლოდ სანავის ხარკი შეგროვილი ნარჩენების ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ ავტომანქანით ტრანსპორტირებისათვის.

საკრებულოს წევრთა თქმით, ეს ხარაგაულისათვის საჭირო პროექტია და ისინი მზად არიან მხარი დაუჭიროთ აღნიშნული პროექტის დაფინანსებას, მაგრამ ამისათვის საჭიროა, პროექტის კოორდინატორმა საკრებულოს მიმართოს სპეციალური მოთხოვნის წერილითა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციით.

„თუ პროექტი მუნიციპალიტეტის დახმარებით გაგრძელდება, ერთ-ერთი დონორ ორგანიზაციაში შეტანილი მაქვს შესაბამისი პროექტი, რომლის დაფინანსების შემთხვევაში შეგვეძლება შევიძინოთ დამატებითი კონტეინერები და შევძლოთ მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება ნაგვის ურნებთან დაკავშირებით.“ - აღნიშნა ბიუროს სხდომაზე ხათუნა მანჯავიძე

# ლეღვნელები ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის გაძლიერებას ითხოვენ

## მეორე გზა

აზა ფურცელაძე ხუთშაბათობით ემსახურება. ექვსიანი მუდმივად ადგილობრა. ექვსი დღეა და მარეგისტრირებულია.

2014-2015 სასწავლო წელს გაიხსნა ლეღვანში საბავშვო ბაღი და ეს ძალიან კარგი საქმეა.

მოსახლეობის წინაშე მდგარ პრობლემებზე ლეღვანის მაჟორიტარი დეპუტატი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ინგა მაღრაძე** საუბრობს.

განვითარების სამხლიან პროგრამაში გაწეულია, რომ 2017 წელს ლეღვანისა და მარეგისტრირების მოასფალტება იგეგმება.

რაც შეეხება მუნიციპალური ტრანსპორტის ამოქმედებას, ინგა მაღრაძე ამბობს, რომ უნდა ვიყოთ რეალისტები, რადგან ამას სერიოზული ფინანსური რესურსი სჭირდება. მისი თქმით, როცა გზები მოწესრიგდება, კერძო ტრანსპორტის მფლობელებიც მეტად დაინტერესდებიან და გრაფიკს აღარ ჩააგდებენ.

ხელისუფლებამ მეტად უნდა იაქტიუროს.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის რომ შესაბამისი სერვისები ხელმისაწვდომი არაა, ინგა მაღრაძე ამას მხოლოდ ლეღვანის მოსახლეობის პრობლემად არ მიიჩნევს. მისი თქმით, კულტურის სფეროს ა(ა)იპ-ებით, რომლებიც საკმაოდ დიდი თანხით ფინანსდება, ძირითადად დაბა ხარაგაულში მცხოვრები მოსწავლეები სარგებლობენ. ინგა მაღრაძე ამბობს, რომ

მიმდებმა პირებმა უნდა იცოდნენ, რას ფიქრობს ადგილობრივი მოსახლეობა სამსახურზე ხე-ტყის მოპოვების კუთხით.

სოციალური დახმარების გაცემის წესში არსებული უსამართლობა მიუღებელია ინგა მაღრაძისთვის. ის აქტიურად თანამშრომლობს იმერეთის რეგიონალურ სამსახურთან და იმედოვნებს, რომ ოჯახების ახალი კრიტერიუმებით შემოწმება სამართლიანობას შეუწყობს ხელს.

ნარჩენების მართვის პრობლემას ინგა მაღრაძე ერთი მხრივ უგზობობს, მეორე მხრივ კი არასწორ მენეჯმენტს უკავშირებს. მისივე თქმით, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ გადასახადი უნდა გადაიხადოს, თვითმმართველობამ კი შესაბამისი მომსახურება უნდა განიოს. წლის ბოლომდე იგეგმება ნაგვის შემკრები კონტეინერების შექმნა.

„ძალიან აქტიურები არიან ლეღვანელები. ვფიქრობ, რომ მათთან საკმაოდ გახსნილი ურთიერთობები მაქვს. მათ, რა თქმა უნდა, მეტი კომუნიკაცია სურთ. არ გეპირფერებიან. არიან კრიტიკულები და პრობლემის გადაწყვეტის გზასაც თავად გვთავაზობენ. ლეღვანელებმა იცინა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია და ეს საზოგადოების განვითარებას შეუწყობს ხელს. ლეღვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარება ჩემი უფლებაა მოსილენის ფარგლებში დიდწილად მათ აქტიურობაზე დამოკიდებული და ერთად ბევრი პრობლემის გადაჭრას შეეძლებოდა.“ - ამბობს ინგა მაღრაძე.

**სს** „ენერჯო-პრო ჯორჯია“ ადან“ მიღებული ინფორმაციით, ხარაგაულის მომსახურების ცენტრი ამჟამად ინდივიდუალური გამრიცხველიანების სამუშაოებს სოფელ ლორეშში ახორციელებს. შემდეგ ეტაპზე დაიწყება ლეღვანის დაახლოებით 450 აბონენტის გამრიცხველიანება. რაც შეეხება სოფელ მარეგისტრის, ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტი აქ სავარაუდოდ 2015 წლის ბოლოს ან 2016 წელს დაიწყება.



**ინგა მაღრაძე:** -ლეღვანელებმა იცინა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია და ეს საზოგადოების განვითარებას შეუწყობს ხელს.



მისი თქმით, ლეღვანის მაჟორიტარულ ოლქში გამოკვეთილი პრობლემაა შიდა საუბნო გზები და ამის გამო გადაადგილების პრობლემასთან ერთად მოსახლეობას წვალებით შექმნილი საკვები პროდუქტების სახლამდე მიტანა უჭირს. ინგა მაღრაძის ინფორმაციით, დაპროექტებულია სკოლამდე მისასვლელი გზა, გაკეთებულია ხარჯთაღრიცხვები კიბაბოურის და ბერანმინდის ცენტრალურ გზაზე. მესამე კვარტალის დასაწყისში, ეს გზები, ალბათ შეკეთდება და შემდეგ იზრუნებენ სკოლამდე მისასვლელ გზაზე. ინგა მაღრაძე ამბობს, რომ იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რაც შეიძლება ადგილობრივ ბიუჯეტში მოიძებნოს, ეტაპობრივად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება გზების მდგომარეობა. მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე მოხარულია, რომ სოფლებში მოსახლეობა საბავშვო ბაღებს ითხოვს. ნადაბურში, ლორეშში და მარეგისტრისში დგას ეს საკითხი. ინგა მაღრაძის ინფორმაციით, საწყის ეტაპზე, შესაძლოა, ალტერნატიული საბავშვო ბაღის შექმნაზე იფიქრონ. განათლების სამინისტროსთან მიმდინარეობს მოლაპარაკება მარეგისტრის დაწყებითი სკოლის შენობის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემასა და იქ საბავშვო ბაღის ამოქმედებაზე.

ხელისუფლების მთავარ გამოწვევად ინგა მაღრაძე დასაქმების ხელშეწყობას მიიჩნევს და ამბობს, რომ სახელმწიფო პროგრამები, რომლებმაც აღაშენა დასაქმებას ხელი უნდა შეუწყოს, ვერ მიიტანეს მოსახლეობამდე და ამ მიმართულებით ადგილობრივმა

მიდგომები შესაცვლელია და ბევრი მაჟორიტარი ვახდება მისი თანამოაზრე, რაც ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

წყალმომარაგების განვითარების ნიშნულების საკითხი ლეღვანის მაჟორიტარისთვის ცნობილია. მისი თქმით, სპეციალური ტექნიკაა საჭირო იმ ტერიტორიის გასანმენდლად, სადაც წყლის ნიშნულებია. გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურმა ადგილზე შეისწავლა მდგომარეობა, შედგენილია დეფექტური აქტი და უახლოეს დღეებში პრობლემა მოგვარდება.

ინგა მაღრაძის ინფორმაციით, უახლოეს ხანში იგეგმება ხარაგაულში სასტყეე პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლების ვიზიტი. მისივე თქმით, კაბინეტში არ უნდა დაიგეგმოს ტყის მართვის კონცეფცია და გადაწყვეტილების

დინიჭება თუ არა ლეღვანის მაღალმთიანის სტატუსი და რას ცვლილებები შედის მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ საქართველოს კანონში, ამის შესახებ ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი **ნოდარ შაბანიაძე** განმარტავს: კანონით მაღალმთიან სოფლებს ძალიან მნიშვნელოვანი საგადასახადო შედეგები დაუწყდება - ბიზნესი ათი წლის მანძილზე მოგვების გადასახადისგან თავისუფლდება, სამშენობლო საგადასახადისგან - ბიზნესში დასაქმებულები. სერიოზული დანამატები ექნებათ პედაგოგებს, ექიმებსა და პენსიონერებს. სახელმწიფო, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველა იმ რეგიონს ვერ განვლდება, რომელსაც თავი მაიჩნია მაღალმთიანად. ამ კანონპროექტის თანახმად, მაღალმთიანის სტატუსს მიიღებს ის სოფელი, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრზეა. ასეთი დასახლება ჩვენს პირობებში არ არის. განხილვის პროცესში გამოიკვეთა მოსაზრებები. ჩემი აზრით, არა მხოლოდ ზღვის დონიდან სიმაღლე, არამედ რელიეფის სირთულე და დახრილობა უნდა იყოს გათვალისწინებული მაღალმთიანის სტატუსის მინიჭებისას.

**ნოდარ შაბანიაძე**



ჩემო პატარებო, ჩემო საყვარლებო, მინდა დაგილოცოთ მომავალი საგალი გზების უფალს ვთხოვ მუდამ ჯანმრთელები, წარმატებულები და

ბედნიერები ყოფილიყავით. თქვენ ხომ ის ბავშვები ხართ, რომლებიც მუდამ მხარხარებით თქვენი წარმატებით: ქართული ენისა და ლიტერატურის 12

კარგ ქართველს, მშვენიერი ოჯახის თავკაცს, სითბო-სიყვარულით გამოირჩეულ პიროვნებას, ჭირსა და ლბინში მოყვასის თანამდგომს, ბატონ **ნუზარ ლომსაძეს**, ვულოცავთ საიუბილეო თარიღს - დაბადების 70 წლისთავს.

ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილებს **საბა** და **თამარ (თაპო) ლიპარტიძეს** ვულოცავთ ხუთი და ორი წლის იუბილეს.

გქონდეთ ლაღი ბავშვობა, უღრუბლო ზეცა და საუკეთესო მომავალი. უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეთ თქვენს საყვარელ მშობლებთან ერთად.

„და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა თქვენ გაჩნდით ამ ქვეყანაზე“

**პაპო, პაპა, ბიძა, დედა და თამარ პიპიაშვილი**

\*\*\*

ჩვენს თბილ, მოსიყვარულე, დაუღალავ და მუდამ ახალგაზრდა ბაბუს **ბონლო ლოლაძეს** ვულოცავთ 75 წლის იუბილეს. ღმერთმა დიდხანს, ჯანმრთელად და გახარებული გვიმყოფოს ჩვენს ტკბილ, მოსიყვარულე და მუდამ მოფუსფუსე ბებიკოსთან ერთად. ყველასათვის საყვარელი, საამაყო და მისაბაძი ადამიანი ჩვენი ბაბუ. კიდევ მრავალი წელი გაეხარებინოს თავისი ყოფნით მრავალრიცხოვანი შთამომავალნი.

**დიდი სიყვარულით შვილიშვილები და შვილთაშვილები**

სერტიფიკატი, მათემატიკის 32 სერტიფიკატი, 13 დიპლომი სხვადასხვა ოლიმპიადებზე, 57 ვარსკვლავი, 16 მოსწავლე საქართველოს საუკეთესო მოსწავლეთა კლუბის წევრი, აგრეთვე „შერლოკის“ ოლიმპიადის 6 ფინალისტი, აქედან 5 საუკეთესო მოსწავლეთა ელექტრონულ დაფაზე განთავსებული, - ეს თქვენი მიღწევების მცირე ჩამონათვალია, თქვენი მონდომების, ნიჭიერების, ერთუზიანობისა და ლამაზი სულიერების ლოგიკური შედეგი.

მიყვარხართ, გეფერებით. **თამარი ლომი ასწავალშაძე**

**ფოტოზე:** ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები

ველოცავთ ვაჟიშვილის შეძენას **საბა მაღრაძეს** და **მარი რაჭვას**.

ვესურებთ ახალდაბადებულ **ლემან მაღრაძეს** ლალ ბავშვობას და ბედნიერ მომავალს. უფალი იყოს პატარა ანგელოზის მფარველი. მადლობა თქვენ, მარი და საბა, რომ შეილთა შვილიშვილს მოგვასწარით. თქვენი კარგი მსურველი **ოპარი და ცაგარი მაღრაძეები**

\*\*\*

ველოცავთ შვილიშვილის შეძენას **ქაიხოსრო ღვებრიას** და **აბი-რან მინაშრაძეს**, **ტატო ბერაძეს** და **თამაზ ჭიკაშვილს**, მეოთხე შვილის შეძენას **სოფო ჭიკაშვილს** და **ზვიად მინაშრაძეს**. ვესურებთ **ირინეს** ჯანმრთელობას, ლამაზ და ბედნიერ ბავშვობას, გახარებას დედამიწიდან და საყვარელ ადამიანებთან ერთად. **რუსთაველი კურაძე ოქსანო**

\*\*\*

ველოცავთ **ბუმბუკის** პირველი შვილიშვილის ბედნიერებას. ახალდაქორწინებულებს **ნათია სამხარაძეს** და **ლემან ქაბაძეს** ვესურებთ უღრუბლო სიყვარულს და შვილთა სიმრავლეს. ველოცავთ **ნათიას** შვილიშვილებს **სარაბაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები**

\*\*\*

მეუღლე მანანა, ძმა გეო, შვილები ნინო, ირმა, სიძეები რამაზ ფერაძე, ამირან გოგოლაძე, შვილიშვილები ზურა, ზაზა, დათო, გიორგი, ნანა. შვილთაშვილები დავითი, ელენე იუნციანი, რომ გარდაიცვალა **ბონლო ირინე კლუბის მფარველი**

ძმა გეო ლურსმანაშვილი, რძალი ანკო კვლენჯერიძე, ძმისშვილები ვახტანგი, ივანე, თამარიკო, ლილი, რძლები ლალი კამკამიძე, ირმა შარიქაძე, ირა დმიტერი. სიძეები ტარიელ ლომსაძე, გოჩა შავიძე, იუნციანი, რომ გარდაიცვალა **ბონლო ირინე კლუბის მფარველი** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დააკრძალა შაბათს 27 ივნისს.

ზვარის საჯარო სკოლის დირექცია, პედოლოგიკური და ტექნიკური-სკოლის თანამშრომლები ნიფის საჯარო სკოლის პედაგოგს დალი პერანიძეს შეიღოს

**ხიზა ტალახაძის** გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძობენ ნათია ბუაჩიძის ბიძის **ბიძი ლომიკაშვილის** გარდაცვალების გამო.

# ნოდარ ლამბარაშვილის ხსოვნას



ისევ უშენოდ, უკვე მერამდენად მოვიდა 6 ივლისი, შენი დაბადების დღე, ისევ ცრემლით და სევდიანი მოგონებებით უნდა შევხვდეთ ამ დღეს. სიტყვები უძლიერა გამოვთქვა ის მწუხარება, რასაც განვიცდი, შეილო, ლოლზე მძიმეა ჩემი ცრემლები, გული მხოლოდ ნალღველით მაქვს საყვარელი, ჩემი ორი შვილი - ნოდარი და ნანი იმქვეყნიურ საუფლოში ხართ, მე კი აქ, ამ წუთისთვის დღემ და თვემთან ყოფნას ვნატობ. ვინ იცის, როგორ გჭირდებოდა დედის სითბო და მზრუნველობა... რაც შემიძლია, არ ვაკლებთ ყურადღებას, შეუძლებელს ვაკეთებ, რომ რიგრიგობით ხშირად ვიარო თქვენს საფლავზე - ნიფასა და ბაზალეთში. ჩემთვის ამქვეყნიურ მხოლოდ ეს ორი წმინდა საფლავი არსებობს და კიდევ მამათქვენის, რომელმაც ვერ გაუძლო უთქვენობას და გულმა თქვენსკენ გამოუწია... მე კი ხვედრად მერგო, რომ ცრემლებით დავენამო თქვენი საფლავები, მხოლოდ თქვენზე მოგონებებით ვიხსენებო და ვიარსებო...

დისშივლები და დისშივილები, პატარა ნანუკა კი ბებიას მოსახლე ჩემი ტკივილების სალბუნია.

ნათელში იყოს თქვენი სულები, ჩემო შვილებო - ნანი და ნოდარ. ერთმანეთს მიხედეთ, უპატრონეთ. თქვენ ხომ გამორჩეულად გიყვარდათ ერთმანეთი. ეს სიყვარულის ჯაჭვები გემოიღებოდნენ ერთმანეთისკენ და აი, ერთად ხართ, მე კი დამტოვეთ... დამტოვეთ მხოლოდ ერთი ოცნებით, - თქვენთან შეხვედრისა.

გილოცავ, შეილო, ნოდარ, დაბადების დღეს. ახლა უკვე კაცი იქნებოდი, შენ კი სულ პირტიტველა ნახვედი, სიყვარულის წყურვილით საყვარელმა აცხონოს თქვენი სული... განათლოს ზეციურ სქართველოში. **ლემან ლამბარაშვილი**

# ოლეგი სხილაძის ბახსენება



მიჭირს შენზე სიტყვა გახსენების დანერა, მაგრამ რა ვქნა. როგორც შენ იცოდი, „ყველაფერი ღმერთის ნებაა“ და სწორედ უფალმა მიიბარა შენი ლამაზი სული. დავრჩით ასე გაოგნებული და გულჩანყვეტილი ყველა, დიდი თუ პატარა. შენი სიმღერა, იუმორი, ნიჭი დიდხანს

ემასხვრებათ შენს ახლობლებს. პირველად შევხვდი შენს დაბადების დღეს შენს საფლავზე შენი ოჯახი, მეზობლები და მეგობრები. ნათელში გვიმყოფოს შენი სული ღმერთმა. ლოცვისა და შენი გახსენების მეტი რა დავგრჩენია. ენატრები ყველას, - ოჯახს, ახლობლებს, მოყვარებს, ნათესავებს. ილოცე მადეიან ყველასთვის. ღრმად მწამს, რომ მაგ ამოუცნობ სამყაროშიც ყველასათვის კეთილი და სიხარულის მომტანი იქნები.

მსუბუქი ყოფილიყოს შენ გულზე დაყრილი შენი საყვარელი სოფლის მიწა და ღმერთმა გაგვინათლოს შენი ალალი სული.

**პარაღ შენი მუშა, უსაყვარლესი შვილები და ახლობლები**

# პაროქსა ხიჭაკაძე-ჩირილიძე



გამრჯე, ოჯახის ერთგული, სოფელ ვარძიანზე უზომოდ შეყვარებული, მშრომელი, პატროსანი, - ასე ახასიათებენ მეზობლები ქალბატონ პაროქსას. მთელი ცხოვრება შრომასა და გარჯაში გაატარა. დიდმა სამამულეო ომმა მძიმე ბავშვობა არგუნა. ერთადერთი საყვარელი ძმა ომში დაეკარგა. მისი დაბრუნების სწამდა და სიყვარულის ბოლომდე ელოდა. ღირსეულად გაზარდა სამი შვილი საყვარელ მეუღლე შოთა ჩიჩილიძესთან ერთად. რამდენიმე წელია, რაც მეუღლე დაეღუპა.

„როგორ შეგანუხეთ, ქალებო, ეს რა შევლომა დავეუგოთ“.

დაჩნა შვილებისა და შვილიშვილების ზრუნვაში, სულ მათ მოლოდინში იყო. ზაფხული უყვარდა ძალიან, - ეზო ხმაურით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით რომ აივსებოდა. საბედისწერო აღმოჩნდა ბოლოს მზადება მათ დასახვედრად. არავინ ელოდა მის სიკვდილს, იგი ლამაზად, დედა ფურცარივით დასტრიალებდა თავის ეზო კარ-მიდამოს. სიკვდილს თვალში ჩახედა, მაგრამ მაინც ახლობლებზე ფიქრობდა:

**სოფელ ვარძიის ხიჭაკაძეების შენი მუშოლობა**

აბინდი	
<b>დ. ხარაგაული</b>	<b>პიძენი</b>
03.07 - მორბუტულობა უნალექოდ, დღე +27°C, ღამე +22°C;	03.07 - მორბუტულობა უნალექოდ, დღე +25°C, ღამე +20°C;
04.07 - ცვალეზადი მორბუტულობა ნალექით, დღე +27°C, ღამე +21°C;	04.07 - ცვალეზადი მორბუტულობა ნალექით, დღე +26°C, ღამე +20°C;
05.07 - ცვალეზადი მორბუტულობა ნალექით, დღე +33°C, ღამე +24°C;	05.07 - ცვალეზადი მორბუტულობა ნალექით, დღე +32°C, ღამე +23°C;
06.07 - ცვალეზადი მორბუტულობა ნალექით, დღე +27°C, ღამე +22°C;	06.07 - ცვალეზადი მორბუტულობა ნალექით, დღე +26°C, ღამე +21°C;
07.07 - ცვალეზადი მორბუტულობა უნალექოდ, დღე +34°C, ღამე +24°C;	07.07 - ცვალეზადი მორბუტულობა უნალექოდ, დღე +32°C, ღამე +22°C;
08.07 - ცვალეზადი მორბუტულობა უნალექოდ, დღე +33°C, ღამე +23°C.	08.07 - ცვალეზადი მორბუტულობა უნალექოდ, დღე +32°C, ღამე +22°C.
<b>პორიტი</b>	<b>პოლიტი</b>
03.07 - მორბუტულობა უნალექოდ, დღე +27°C, ღამე +20°C;	03.07 - ცვალეზადი მორბუტულობა უნალექოდ, დღე +26°C, ღამე +18°C;
04.07 - ცვალეზადი მორბუტულობა ნალექით, დღე +28°C, ღამე +20°C;	04.07 - ცვალეზადი მორბუტულობა ნალექით, დღე +27°C, ღამე +18°C;
05.07 - ცვალეზადი მორბუტულობა ნალექით, დღე +31°C, ღამე +21°C;	05.07 - ცვალეზადი მორბუტულობა უნალექოდ, დღე +29°C, ღამე +19°C;
06.07 - ცვალეზადი მორბუტულობა უნალექოდ, დღე +28°C, ღამე +21°C;	06.07 - ცვალეზადი მორბუტულობა უნალექოდ, დღე +26°C, ღამე +19°C;
07.07 - შხიანი დარი, დღე +31°C, ღამე +21°C;	07.07 - შხიანი დარი, დღე +31°C, ღამე +19°C;
08.07 - შხიანი დარი, დღე +30°C, ღამე +20°C.	08.07 - შხიანი დარი, დღე +31°C, ღამე +18°C.

<b>მთავარი რედაქტორი</b> <b>ლაურა გომოლაძე</b> 593 900 501	<b>რედაქტორის მოადგილე</b> <b>ნინო კაკაბაძე</b> 593 35 65 80	<b>დიზაინერი</b> <b>შოთა ლომიძე</b> 557 10 20 47 shotiko@lomidze.info	მის.: ხარაგაული, სოლომონ მეფის №59 ტელ.: 0 433 22 16 27 593 900 501 gogoladze.laura@gmail.com გაზეთი რეგისტრ. №47/5-ბ-12
--	--	--	--